



ქაჯების უემოსება

ჟურნალისტებად წოდებული ეს ადამიანები, დიდი ხანია პროფესიონალ სახელმწიფო გამამტრიალებლად, ამბოხების, დესტაბილიზაციის გამომწვევ ქვედანაყოფებად, სიტყვით მკვლელებად იქცნენ ...

ქართველი ხალხისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ სვამს დასავლეთი ტოლობის ნიშანს ლგბტ პრაიდის ჩატარებასა და ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაერთიანებასთან?



კოკა შორგოშია:
ბარკვევით ვაბოვბ: თუ ჩვენს რელიგიას, ქვეყანას და ღირებულებებს დანაშაულებად დასვა, ვიოვბათ, როგორც მომოდენე და კვლავოდენე ჩვენი წინაპრები



ბალთარ არაბული: რატომ უნდა გადავხდეთ ირაკლი ღარიბაშვილი? საკუთარი ქვეყნის ღირსება რომ დავიცვა, იმიტომ?



მთელმა მსოფლიომ, ევროპამ და, რაც მთავარია, ამიერკავკასიამ – ჩვენმა აფხაზმა და ოსმა ძმებმა გაიგეს, რომ საქართველოში ცხოვრობენ ღირსეული კაცები და ღირსეული ქალები და საქართველოში ღმერთი არის უპირველესი.

გელა ზედელაშვილი:
ხანდახან
მგონია,
ინდიელი
პარ და გელა
რეზერვაციის
გადავიყვანენ



ლექსო ლაშქარაშვილი იმ ბნელმა ქალებმა ხომ არ მოკლეს, რომლებიც მის ცხედარზე გადავლით კვლავ ხელისუფლებას მოგრუნებენ აპირებენ?

რედაქტორის გვერდი



ვახტანგ სარკილაძე:

ისინი პირველად საქტელერადიოს შენობის კიბეებზე გამოჩნდნენ.

ისხდნენ კიბეებზე და „დიქტატორ“ გამსახურდას გადადგომას ითხოვდნენ.

მერე რა, რომ სულ ერთი წელი იყო გასული დამოუკიდებლობის მიღებიდან და ქართულ სახელმწიფოს დაპირისპირება და კრიტიკაში ჩადგომა კი არა, გვერდში დგომა და მხარდაჭერა სჭირდებოდა, ისინი მაინც პუტჩისტების, ბანდორომირების მხარეს იდგნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ქვეყანა არეულიყო.

მათ ლომის წილი უდევთ კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლების დამხობაში, საზოგადოების გახლეჩვაში, სამოქალაქო

მოწყვეს იმ ტელევიზიის საშუალებით, რომელსაც გამარჯვებული ხალხის ტელევიზია უწოდეს, თუმცა სულ მალე გაირკვა, თუ როგორი გამარჯვებული იყო მათ მიერ მოტყუებული და დაზომბირებული ქართველი ხალხი, რომელსაც მკვლელების, სადისტების, ყაჩაღების ბანდა მოაჯდა თავზე და რვა წლის განმავლობაში უსასტიკესი მეთოდებით აწამებდა, მარცვადა, ციხეებში ყრიდა, ქუჩაში ხვრეტდა ადამიანებს.

ისინი რვა წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურნენ მათ მიერ ხელისუფლებაში მოყვანილ ავაზაკებს.

ისინი თანაავტორები და თანამონაწილეები არიან ყველა იმ უბედურების, რაც ამ ნაცავაზაკებმა ქვეყანაში დაატრიალეს.

ისინი ახლა პარლამენტის წინ დგანან და იგივეს გაკეთებას აპირებენ, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში გააკეთეს.

2019 წლის ივნისში დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბოლომდე მიყვანა და ხელისუფლების დამხობა ჰქვია იმას, რის გაკეთებასაც ესენი უკვე მესამედ აპირებენ.

ეს ადამიანები დიდი ხანია პროფესიონალ სახელმწიფო



მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ საუბარი მაქვს ე.წ. ჟურნალისტების იმ ნაწილზე, რომლებიც კარგა ხანია გაემიჯნენ ჟურნალისტიკას და ჟურნალისტის სახელს ამოფარებულბმა, ფაქტობრივად, პოლიტიკოსების როლი მოირგეს.

რამდენიმე დღეა, პარლამენტთან ჟურნალისტები კი არა, ჟურნალისტების ფსევდონიმით

ვარე ადამიანები, აქეთ მხარეს — რადიკალური, რეაქციული დაჯგუფებები. ეს ბნელი ძალა ებრძვის სინათლის მხარეს მდგომ ადამიანებს.

აი, ასე დავევს ამ „ობიექტურმა“ და „მიუკერძოებელმა“ ჟურნალისტებმა საზოგადოებას, „ბნელებად“ და „ნათლებად“, მოძალადეებად და „მშვიდობის მტრებად“, ასე შეამზადეს მათ შორის დაპირისპირება და აგრესია.

ისინი ღიად დადგნენ ლგბტ პრაიდის მხარდამჭერთა გვერდით და 5-6 ივლისს კონტრაქციის წარმომადგენლებს, როგორც მხარე, ისე დაუპირისპირდნენ.

მათ 5 ივლისს პირნათლად შეასრულეს „ნაცმოძრაობის“ ლიდერების და უშუალოდ სააკაშვილის მიერ მიცემული დავალება და დიდი პროვოკაცია მოუწვევეს კონტრაქციის მონაწილეებს, სასულიერო პირებს, საქართველოს ხელისუფლებას, მთლიანად ქართველ ხალხს.

ღიახ, რაც 5-6 ივლისის ხდებოდა, ეს იყო „ნაცმოძრაობის“ მიერ დაგეგმილი მზაკვრული პროვოკაცია, რომელიც შესანიშნავად განახორციელეს თავიანთი მედია-მენეჯერების მიერ დაგეგმილი და დატრენინგებულმა ჟურნალისტებმა, რომლებიც თავიანთი მიზანმიმართული და შეურაცხმყოფელი შეკითხვებით ხელოვნურად ცდილობდნენ კონტრაქციის მონაწილეთა

გამოწვევას და წონასწორობიდან გამოყვანას, რაც, სამწუხაროდ, მოახერხეს კიდევაც.

ამ ე.წ. ჟურნალისტებმა ზუსტად, ერთი-ერთში გაიმეორეს „ნაცმოძრაობის“ მიერ მრავალჯერ გამოყენებული ხერხი — ჯერ პროვოკაცია უნდა მოუწყო მოწინააღმდეგეს, მერე კი იმ საპასუხო რეაქციაზე უნდა ატეხო ხმაური და განგაში, რაც ამ პროვოკაციას შეიძლება მოჰყვეს.

5-6 ივლისს მომხდარი ამბები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამ ე.წ. ჟურნალისტებსაც და ნაციონალებსაც ერთი და იგივე მწვერთელი, ერთი და იგივე ტრენერი, ერთი და იგივე ხელმძღვანელი ჰყავთ.

გასაოცარი ის არის, რომ ამ უმარტივესად გასაშიფრ ტექნოლოგიებს რატომღაც ვერ ხვდებიან ჩვენი უცხოელი მეგობრები, ვერ ხვდება ის 23 ელჩი, რომლებიც აღმფთვებულნი ლაპარაკობენ მედიის შევიწროებაზე, მედიაზე ზეწოლაზე და ამ დროს ვითომ ვერ გაურკვევიათ, რომ ეს მედია კი არა, „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიური დესანტია, მისი ერთ-ერთი პოლიტიკური ქვედანაყოფია.

ჩვენი მეგობრები ვერც იმას ხვდებიან, რომ „ნაცმოძრაობა“, რომელიც დასავლურ ორიენტაციას იბრალებს, სინამდვილეში, ოკუპანტთან მჭიდროდ დაკავშირებული ძალაა, რომლის ყველა ქმედება, დაწყებული 2003 წლიდან დღემდე, სწორედ ოკუპანტის წისქვილზე ასხამს წყალს და ქართული სახელმწიფოს დასუსტებას და დაძაბუნებას ისახავს მიზნად.

აი, ამ ბოროტი და დესტრუქციული ძალის მსახურია ის მედია, რომელიც ახლა პარლამენტის წინ დგას მიკროფონებით, მეგაფონებით, ტელეკამერებით შეიარაღებული და იგივეს გაკეთებას აპირებს, რაც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში გააკეთა, რაც 21-ე საუკუნის დასაწყისში გააკეთა.

ნუ მივცემთ ამ მედიაავაზაკებს უფლებას, კიდევ ერთხელ დაანგრიონ მათ მიერ ბევრჯერ დანგრეული ქართული სახელმწიფო.



დაპირისპირების გაღვივებაში, მმთამკველელი ომის გაჩაღებაში, ქვეყნის დანგრევაში და გაპარტახებაში.

მოგვიანებით ისინი ისევ გამოჩნდნენ და ამჯერად ვარდების რევოლუციად წოდებული სახელმწიფო გადატრიალების მთავარ იდეოლოგებად და წარმმართველ ძალად მოგვევლინენ.

ისინი თავს იწონებდნენ იმით, რომ ეს რევოლუცია სწორედ მათ



გადამტრიალებლბად, ბუნტის, ამბოხების, დესტაბილიზაციის გამომწვევ სპეციალიზებულ ქვედანაყოფებად, იდეოლოგიურ „ნაიომნიკებად“, სიტყვით მკვლელებად იქცნენ, რომლებსაც ხან ერთი პოლიტიკური ბანდა ქიარობს, ხან — მეორე, ხან — მესამე.

ამჯერად ისინი „ნაცმოძრაობას“ მიეყიდნენ და, ფაქტობრივად, ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის ორგანულ დანაშაულებად იქცნენ.



„ნაცმოძრაობის“ არალეგალური წევრები დგანან და „ნაცმოძრაობის“ მიერ ნაკარნახევ პოლიტიკურ მოთხოვნებს აჟღერებენ.

მოდით, ისიც გავიხსენოთ, როგორ აშუქებდნენ ეს ფსევდოჟურნალისტები ლგბტ თემის კვირეულთან დაკავშირებულ საკითხებს.

— რუსთაველის პროსპექტი ორად არის გაყოფილი. იქით მხარეს არიან თავისუფლებისათვის მებრძოლი, თავისუფლებებისმოყ-



გარკვევით ვაგობ: თუ ჩვენს ჩელიზიას, ქვეყანას და ღირებულებებს დასჭირდება დასვა, ვიოფიტი, როგორც მოვლენე და კვლავ მოვლენე ჩვენი წინაპრები

გვესაუბრება „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელი კობა მორგოვიძე

— კობა, თქვენი სატელევიზიო გამოვლენები ბოლო დღეებში იმდენად კონსტრუქციული იყო, რომ ვინმეს ეგონებოდა, ჩამოყალიბებული სტრუქტურის წევრები არიანო. არადა, როგორც ვიცო, ორგანიზაცია არ გაქვთ და რაც მოხდა 5 ივლისს, სპონტანურად მოხდა.

— ჩვენ არ გვაქვს რაიმე პარტიული სტრუქტურა, თუმცა ვართ შეუპოვრები ეროვნული ღირებულებების დასაცავად და არაფერზე არ ვაპირებთ უკანდახევას.

ჩვენმა ქმედებებმა კი დღესდღეობით ის შედეგი გამოიღო, რომ, რაც ამათმა ათეული წლების განმავლობაში მილიარდები ხარჯეს, ერთ დღეში ჩაეყარათ წყალში — კარვები აღარ არის, ოფისები აღარაა, „ურნალისტები“ შავ დღეში ჩაცვივდნენ, ევროკავშირის დროშა თავზე დაახიეს, ხალხი გამოვიდა და რა უყონ ხალხს, რომლებიც დაჩოქილია რუსთაველზე და ლოცულობს?! ამ ხალხს არც მინაინტერესებს, არც — გრიშა, არც

ამას ვაცხადებ აბსოლუტური პასუხისმგებლობით.

მთელმა მსოფლიომ, ვეროკამ და, რაც მთავარია, ამირკაკანსიამ — ჩვენმა აფხაზმა და ოსმა კმემა ბაიბუმ, რომ სახარტიველი ცხოვრობენ ღირსშული პანკში და ღირსშული ძაღვბი და სახარტიველი ღმერთი არის უპირველესი.

— ვინ ვინააღმდეგება ამას?!

— ეს არის სისტემა — ლიბერალური დიქტატურა, რომელიც საქართველოში მუშაობს და ამას დემოკრატიასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

თუ შავკანიანს შეურაცხყოფ, არის რასიზმი, მაგრამ თუ ლგბტ თემის პროპაგანდას ვინააღმდეგები, ეს ყოფილა ჰომოფობია. რელიგიას თუ შეუგინებ ხალხს, ეს არის სიტყვის თავისუფლება?

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სოლიდარულია იმაში, რომ ეს უმსგავსობა მიუღებელია.

— მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ სექსუაციონების გამოსატყვის თავისუფლებას.



არჩვენები, არც არაფერი. ხალხმა დადგა წმინდა ნინოს ჯვარი, რომელსაც ვერ შეეხება ვერავინ.

ცოტა ხანში ტენდერები გამოცხადდება და იქ უფრო დიდი, მხატვრული თვალსაზრისით, უფრო განსხვავებული ჯვარი დაიდგება. ჯვარი თაღებში ჩაისმება, ისე, როგორც ზვიად გამსახურდიას დროს იყო, წარწერით — „ენა, მამული, სარწმუნოება“.

— და, მაინც, რა იყო 5 ივლისი?

— 5 ივლისს დამტკიცდა, რომ საქართველოში გვი-პროპაგანდისტული მარში არასდროს არ ჩატარდება.

იმის მიუხედავად, რომ საპატრიარქო და ქართველი ხალხი ამათ აფრთხილებდა, რომ მარში გამოიწვევდა კონფორმაციას, მათ მაინც პქონდათ დაგეგმილი, რომ ამხელა პროვოკაცია გამოეწვიათ.

დიდება უფალს, რომ ქართველი ხალხის ერთობამ მიიყვანა ეს დღე ბუნებრივ და ლოგიკურ გამარჯვებამდე.

ჩვენ არავის პირად ცხოვრებაში არ ვერვით. ვისაც რა უნდა, ის გააკეთოს, ოღონდ არა ქართველი ხალხის შეურაცხყოფის ხარჯზე.

5 ივლისი საქართველოს ისტორიაში, აბოლო ათეული წლების განმავლობაში იყო ყველაზე დიდი გამარჯვება.

— „ნაცმოძრაობა“ და ის 15 პარტია, რომლებმაც ამ პროპაგანდის ლეგალიზაციას ხელი მოაწერეს, იგივე მამობავლები არიან და მათი ამომრჩეველებიც იგივე გამოდიან. ამაზე კამათიც არ დირს.

აქ „ურნალისტებიც“ იგულისხმებიან და ის ხალხიც, ვინც ამას მშვიდად იღებს.

ჩვენ ვართ უმრავლესობა და არ დაუშვებთ, რომ უმცირესობამ გეჩაგროს.

ჩვენ არ ვებრძვით მათ.

არ ვებრძვით ცოდილებს, ჩვენ ვებრძვით ცოლივას.

არ ვამბობ, რომ მე ანგელოზი ვარ, ან სხვა ჩვენი მხარდამჭერი არის უცოდველი, ვიმეორებ: არ გვაინტერესებს მათი ცხოვრება, მაგრამ ღირსებას რომ უწოდებენ ორი ერთნაირი პერსონის ურთიერთობას, ეს ჩვენთვის არის მიუღებელი. ეს საკითხი საქართველოში კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს — არათუ გვი და სხვა მიმართულების გენდერების, არამედ ჰეტეროსექსუალების მარშიც ვერ ჩატარდება საქართველოში. ეს არ მოხდება. ვერც ერთი სექსუალური ორიენტაციის თემის დემონსტრირება ვერ განხორციელდება აქ.

საქართველოში განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს აქვთ თავიანთი ლოკაციები,

ე.წ. კომუნა, რომელიც არავინ არ ერევა, მათ არავინ ჩაგრავს და იყენებენ თავიანთთვის.

მიხარია, რომ ჩვენს პროტესტს შემოუერთდა საქართველოში მცხოვრები მუსლიმანური თემი, იუზიდები, ჩვენი ებრაელი ძმები, სხვანი და სხვანი და ჩვენ ერთად ვართ დღეს.

ეს მარში რომ საქართველოში ჩატარებულიყო, ყველანაირი იმედი იქნებოდა გამქრალი იმის, რომ ქართველები ჩვენს ძმებთან, კავკასიელებთან თანაცხოვრებას ოდესმე შევძლებდით.

ჩვენ ვართ კავკასიელები, სხვა ფასეულობების მატარებელი ხალხი და ევროსაბჭო იქნება, აშშ თუ სხვები, მოუწევთ ჩვენი პოზიციების გათვალისწინება, ჩვენი ტრადიციების პატივისცემა.

— **სოციალური ქსელი „აფეთქეს“ ნაცმხარდამჭერებმა — მოითხოვენ, კონკრეტულად, თქვენს დაკავებას. რატომ მაინცდამაინც თქვენ?**

— ალბათ, იმიტომ, რომ, მე განხლავართ „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელი და „ალტ-ინფო“ არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული



და შესაბამისად, გაგზავნი ნომერ პირველი სამიხნე მათთვის.

რაც მოხდა 5,6,7 და 8 ივლისს ამაში დიდი წვლილი მიუძღვის „ალტ-ინფოს“ და ამიტომაც მოთხოვნენ ჩვენ დაჭერას, კოცონზე დაწვას და რა ვიცი, კიდევ რას.

მიუხედავად იმისა, რომ ათასჯერ წაშალეს ჩვენი ფეისბუქ-გვერდები, დაგვბლოკეს. პირადად მე სამუდამოდ წაშალეს სოციალური ქსელიდან, ეს არაა დაბრკოლება, ეს მხოლოდ გვაახლოებს გამარჯვებასთან.

მასხენდება მაკათმა განდის სიტყვები: თავიდან ვერ გამჩნევენ, მერე დაგცინიან, შემდეგ გებრძვიან და ბოლოს შენ იმარჯვებო, რომ თქვა. ჩვენ ახლა გვებრძვიან. ამ ეტაპზე ვართ და ეს მე ძალიან მახარებს.

„ალტ-ინფო“ უახლოეს დროში ტელეეკრანებზეც გამოჩნდება, ვიმაუწყებლებთ მთელი საქართველოს მასშტაბით. დავიმატებთ ყურნალისტებს. იმდენი რესურსი არ გვაქვს, რომ ნაცტელევიზიების შესაძლებლობებს შევეჭვიდეთ, მაგრამ, ფაქტობრივად, უფულოდ უკვე დავამარცხეთ ესენი.

ყველა მთავარი გავამბო, თუშცა სიტყვებს ჰრინა, ამიტომ კიდე მართხელ ვმჭვი „სამართო გავითის“ საშუალებით, რომ, რაც მმბტი ტპ „პირამედი“, რაც მმბტი „მთავარი“, „მორშული“, რაც მმბტი სანაია, ბრიგოლია, ბაბუნია, გარამია, მარბამამი იმეზიან, მით მალე გავიზარაშვით ჩვენი.



კონსერვატიული ფლანგის გამარჯვებაში ამ ვაი-ყურნალისტებს დიდი წვლილი მიუძღვით. იმიტომ, რომ ჩვენთან სოლიდარული ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა არიან ისინი, რომლებსაც სასტიკად შეურაცხყოფენ და აღიზიანებენ ესენი ეთერებიდან.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მათ არც აღიქვამს ყურნალისტებად. ესენი პირდაპირ ასოცირდებიან მამათავლობის პროპაგანდისტებთან, ქვეყნის და სახელმწიფოს მტრებთან, აღიქმებიან პარტიულ ტელევიზიებად, რომლებიც მხოლოდ სააკაშვილი-ბოკერიას მოძალადე ჯალათების პროპაგანდისტები არიან.

ესენი პირდაპირ გამოდიოდნენ ეთერში და პატრიოტ ადამიანებზე ამბობდნენ: ჩვენ ახლა ვდგავართ პუტინისტურ, რუსულ, პროპაგანდისტულ აქციაზე.

— ეს ცალსახად არ ნიშნავს ლგბტ საზოგადოების მხარდაჭერას.

— წლების განმავლობაში მათ ტელევიზიებში მე არ მინახავს ეროვნული განწყობის ადამიანები, გადაცემებში სვამენ ეკლესიის მოწინააღმდეგეებს, უწმინდესის მაინებლებს, არატრადიციული ორიენტაციის პირებით ჰყავთ გატენილი ტელევიზიები, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ: მათი სექსუალური ორიენტაცია არ არის ჩვენი პრობლემა, ჩვენ ვებრძვით უსინდისობას, ეკლესიის შეურაცხყოფას, მეტალურ ძალადობას. ვიმორბ: ცოდილს არ ვებრძვით, ვებრძვით, საზოგადოდ,

ჩვენი აზრით, 5 ივლისს მოხდარი ძალადობა პრაიდის მიერ იყო პროვოცირებული

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ.პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა პაპაძემ:

— ქალბატონო ნანა, ვის ინტერესში იყო 5 ივლისს მოვლენების ამგვარი განვითარება და გამოხატვალს რაში ხედავთ?

— ვფიქრობ, 5 ივლისის მოვლენების შეფასება ასე უნდა დავიწყოთ: ეს სრულიად მსოფლიოს პრობლემაა. აშშ-ში, ამ თემამზე, ხელჩართული ომია გამოცხადებული. მოგესხნებათ, ამერიკა, დღეს, მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი მოთამაშეა და რაც იქ, ხდება, მთელი მსოფლიოს საერთო თავის ტკივილია. აღნიშნული



პრობლემა ტრამპისა და ბაიდენის დაპირისპირებამ გამოკვეთა. რას წარმოადგენენ ეს ფიგურები? — ტრამპი კონსერვატორია, ბაიდენი — ლიბერალური ღირებულებების მიმდევარი. პროცესი გაიმშველდა და გამოჩნდა: აშშ კანონთან მიმართებით, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და ა.შ. არცთუ ისე კარგად გამოიყურება. დიახ, იქაც, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები საკმაოდ სერიოზული პრობლემის წინაშეა, რაც ტრამპის მიმართ დამოკიდებულებაში გამოიხატა, როდესაც მას, განსხვავებული აზრის გამო, ინტერნეტ-სივრცესთან წვდომა გადაუკეტეს. იგი იძულებულია ალტერნატიული სივრცე შექმნას. ხედავთ, ლიბერალურ და კონსერვატულ მიმართულებას შორის როგორი სერიოზული დაპირისპირებაა?! ტრამპი ამბობდა, რომ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე წვდომა, ასევე, სოც.ქსელები ლიბერალურ ხელში იყო. მას მთელი მედია და ინტერნეტ-სივრცე ემბროდა, ათას ჭორებს უგორებდნენ. აშშ-შიც გამოიკვეთა, რომ ლიბერალები, კონსერვატიზმის წინააღმდეგ, დარტყმის ერთ-ერთ იარაღად რუსეთის აგენტობის თემას იყენებდნენ. გადმოვინაცვლოთ საქართველოში. აქაც, ანალოგიური პროცესები მიდის. დღეს, „ნაც-მოდრაობის“ ფრთის, გავლენების ქვეშ არის ტელევიზიების დიდი უმრავლესობა. მძლავრ ტელევიზიებს, სწორედ, ლიბერალური ფრთა აკონტროლებს. იგიც, თავისი მოწინააღმდეგეების მიმართ მთავარ იარაღად რუსეთის თემას იყენებს. ამ დროს, ნაცები, თავად, რუსეთ-

თან უფრო მჭიდრო კავშირში არიან. სხვა შემთხვევაში, რუსეთისგან სერიოზული მხარდაჭერა რომ არ ჰქონდეთ, პოლიტიკურ ზედაპირზე ამდენხანს ტივტივს ვერ შეძლებდნენ. მიუხედავად ამისა, პროპუტინისტურ დაჯგუფებას სხვას უწოდებენ. აი, დღეს, ეს რეალობა გვაქვს და 5 ივლისის მოვლენები ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ, ვინაიდან პრაიდის დაგეგმვა, სწორედ, ლიბერალურ ინტერესში შედიოდა. უფრო ზუსტად, ეს „ნაც-მოდრაობის“ ერთ-ერთი აქტივობა გახლდათ.

— რის საფუძველზე მიაზრებთ ნაცებს პრაიდის სათავეებთან?

— თუ კარგად დავაკვირდებით, მათი 9-წლიანი მმართველობის

ერ იყვნენ მართულნი. ძალადობაც ამ აქციის ნაწილი იყო. ვფიქრობ, პრაიდსაც და მოძალადეებსაც ერთიდაიგივე რეჟისორი ჰყავდათ და ეს „ნაცმოდრაობა“ გახლდათ. მოგახსენებთ, რატომ ვასკენი ასე: დავსვით კითხვა — ვინ იხეირა იმით, რომ 53 ჟურნალისტი ცემეს — ხელისუფლებამ თუ ოპოზიციამ?! — ოპოზიციამ იხეირა, ხელისუფლებამ კი დარტყმა მიიღო. ამის პროვოცირებას ხელისუფლება ვერ მოახდენდა, ხომ. ეს თემა სარგებელს აძლევდა „ნაც-მოდრაობას“. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ: როგორც პრაიდი იშვა 2012 წლის მერე, ასევე, 5 ივლისს აქციაზე გამოსული ძალადობრივი ჯგუფები, „ნაცმოდრაობის“ მხრიდან იშვნენ.

— ძალადობას ოპერატორის გარდაცვალება მოჰყვა. რა მოსახრება გაქვთ ამ საკითხზე?

— ისმის კითხვა — ეს უბედური შემთხვევა იყო თუ გარკვეულწილად, პროვოცირებული ფაქტი? ხომ არ დგანან ამ ყველაფრის უკან პრაიდის და მოძალადე ჯგუფების ავტორებთან დაკავშირებული პირები? პირადად, ეჭვი მაქვს, რომ აქაც, შეიძლება კვლამ დაშველდეს მიგვიყვანოს, მაგრამ დღეს, პიროვნებების დასახელებიდან თავს შევიკავებ. ეს, გამოძიებამ უნდა თქვას.

ლექსო, პირდაპირ ვთერშიც ინტერვიუებს იძლეოდა. ისეთი სა-



ხის დაზიანებები, რაც სიცოცხლისთვის საშიში იქნებოდა, არც გარეგნულად ეტყობოდა და გარდაცვალების მერე ჩატარებულმა გაკვეთამაც აჩვენა, რომ მას თავის არეში სისხლჩაქცევების კვალი არ ჰქონდა. გაკვეთისას აღმოჩნდა, რომ მას სასქესო ორგანოების მიდამოებში, ორივე მხარეს, წამალი ჰქონდა გაკეთებული. ყველამ იცის: რა დროს იკეთებენ ნარკო-



მანები ამ ადგილებში ნარკოტიკს. ანუ, ეს მძიმე შედეგი შეიძლება სულ სხვა მიზეზით დადგა და არა ცემის შედეგად. ახლა, გამოძიებამ უნდა დაადგინოს: გარდაცვალება ნარკოტიკის ზედმეტმა დოზამ გამოიწვია თუ მოხდა რაიმე ჩარევა, რამაც ეს უმძიმესი შედეგი დააყენა. თუ გადავხედავთ „ნაცმოდრაობის“ პოლიტიკას, დავინახავთ, რომ ის გვაძებნავს აგებულ. იგივე, სანაიას გარდაცვალების დროს საუბარი იყო შემდეგზე: ხომ არ იყო ეს ინსპირაცია რევოლუციისთვის. ეს ფაქტები, ყოველთვის, „ნაცმოდრაობის“ პოლიტიკას უკავშირდება. ისმის კითხვა: ხომ არ იყო ლექსოს სიცოცხლეც ამ მიზნით გამოყენებული?

ჩვენ, საქმე გვაქვს ძალიან რთულ პოლიტიკურ სიტუაციასთან, რაც სამწუხაროდ, „ქართული

და ისეთ ხალხს მოვიყვანთ ხელისუფლებაში, ვინც უსიტყვოდ შეასრულებს ჩვენს ბრძანებებს.

ისინი საქართველოში ისეთ პარტიებთან სოლიდარობენ, რომლებმაც თავისი მმართველობის პერიოდში თავი ადამიანის უფლებათა შელახვით და ანტიდემოკრატიული რეჟიმის დამყარებით გამოიჩინეს. ისინი სწორედ ამ ანტიდემოკრატიული ძალების მობრუნებას ლობიობენ, ვინაც 9 წლის მანძილზე, ფაქტობრივად, ტოტალიტარული რეჟიმი დაამყარეს. მოსახლეობას აღიზიანებს ელჩების მბრძანებლური და უსამართლო განცხადებები. ზოგადად, დასავლეთის ასეთი აქტიური ჩარევა სხვა დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყნის პოლიტიკაში, დიდ ეჭვებს იწვევს. დიახ, მათი განცხადებები, რაც ჩვენს სუვერენიტეტს ხელშეყოფს, სწორედ ლიბერალური ძალის პოლიტიკით არის გამოწვეული, რომელიც თავის ძალაუფლებას სხვა სახელმწიფოებს თავს ახვევს.

შემთხვევით ვისარგებლებ და აქვე გეტყვით: გადაწვევით ჩვენი ორგანიზაცია გაააქტიურდა. შევეცდებით, ადვოკატებთან, ჟურნალისტებთან ერთად გავერთიანდეთ და ზედაპირზე ამოვიტანოთ ის, რისი დამაბრუნებელია ჩვენთვის. ვერობას, ამერიკას შევასხენებთ, რომ ჩვენ თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, რასაც უამრავი ქართველი გმირი შეეწირა. ამიტომ, საქართველო არ აპირებს უარი თქვას სისხლით მოპოვებულ თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე. ისეთ ძლიერ სუპერსახელმწიფოებს როგორებიცაა აშშ, ევროკავშირი, შევასხენებთ: ჩვენ, შეიძლება, მცირერიცხოვანი, პატარა ქვეყანა ვართ, მაგრამ გვაქვს დიდი ღირსება, რასაც საუკუნეებია ვატარებთ, რაც ეროვნულ ღირებულებებზე და ტრადიციებზე დაფუძნებულია, რასაც არცერთი ქართველი არ დათმობს.

იმედი მაქვს ევროპაც, ამერიკაც მიხვდება, რომ მათი ასეთი პოლიტიკა პრო-რუსულ განწყობებზე ასხამს წყალს და შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ეს ორიენტაცია გადაიხედოს. მათ პატივი უნდა სცენ ქართველი ხალხის არჩევანს, რაც მან თავისუფლებისა და დემოკრატიის სასარგებლოდ გააკეთა.



თამარ შველიძე
555 23 28 24

ხანდახან გმონია, ინდიელი ვარ და გაღვივებული გარდაცვალებანი

კიდევ ერთხელ ვამბობ ხანდახან: ჩვენ ვართ ამერიკელი ხალხის მეგობრები, სტრატეგიული პარტნიორები... დიახ, პარტნიორები, და არა ხელქვეითები. თუ ჩვენ გვჭირდება ამერიკა, ამერიკასაც სჭირდება საქართველო და ეს უკვე დაგამტკიცეთ ავღანეთში, ერაყსა თუ სხვა ცხელ წერტილებში. ვფიქრობ, არ ღირს ამ კუთხით საქმის გარჩევა, მაგრამ უკვე 30 წელიწადია, სახელმწიფო დეპარტამენტით გვამინებენ, თუ ასე არ მოიქცევი, თუ რეფორმას არ ჩაატარებ, თუ ამა და ამ დროს ტაშს არ დაუკრავთ, დაიხვებით, ფულს ვერ მიიღებთ, მომდევნო ტრანში შეჩერდება, შეიძლება სანქციებიც დაგიწესდეთ. არა, სანქციები ვერ არ წესდება, მაგრამ ვნახოთ, თუ დემოკრატიას საფრთხე შეექმნება, ვიფიქრებთ. თქვენ არ ვიცი, მეგობრებო, მე კი ხან ისეთი შეგრძნება მაქვს, ინდიელი ვარ და სადაცაა რეზერვაციებში გადამიყვანენ. რაღა, არ მინდა რეზერვაციაში, თავისუფლება მწყურია. არ შეიძლება-მეთქი ასეთი კარნახი, არა, ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ანტიდასავლურ, ანტიამერიკულ განწყობას და პრორუსული ძალების გააქტიურებას. აი, ზუსტად ამ ფაზაში ვიმყოფებით ამჟამად... ანუ 30-წლიანი ეპოქა გრძელდება, მოქმედი პირნი და შემსრულებელნი იგივენი არიან, ჩვენ და სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში ისევე ისინი „გრემიტიორები“, კაი ხნის ჩარეცხილ-ჩაქვესკენელები რომ უნდა იყვნენ. რომ არა ბედის უკუღმართობა, ამ ქვეყანაში დემოკრატია და სიტყვის თავისუფლებაზე მხედრიონელი აკაკი ბობოხიძე უნდა დაპარაკობდეს? თან ისე უნდა დაპარაკობდეს, რომ სამშობლოს პირდაპირ ეთერში დალატობდეს? ამან თქვა, გარეჯი საქართველო არ არისო, ვინც გარეჯი აზერბაიჯანს გადასცა, ის გმირიაო. მანამდეც ბევრი დალატი აქვს ჩადენილი კაკოიე ვეროპეისკის, ამას წინებზე განაცხადა, მე უკვე დავებრდი, თოფის სროლა აღარ შემიძლია, მაგრამ მოვლენ ახალგაზრდები და ისერიანო. ამაზე უცებ აღმოძნდა: ბობოხიძე, შენი ყველაფისამ! თუმცა რა? ეგეთი ხისთავიანები ჭკუას ვერასოდეს სწავლობენ, რაღაცა თუ ამოიჩემეს, სიკვდილამდე იმ აზრზე

დგანან. დიახ, კაკოიეს ამჯერად სანქციები აქვს ამოჩემებული, გინდათ თუ არა, აშშ-ის მთავრობას უნდა დაველაპარაკოთ, რათა სანქციები დაგვიწესონო.
„ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დავარწმუნოთ დასავლელი პარტნიორები, სანქციები იქნება ყველაზე ეფექტური „ქართული ოცნების“ დროს“.
ხედავთ, როგორ წუმპეში ბანაობს ქაჯი კაკოიე, რომელსაც თავი პროდასავლელად მოაქვს? პროდასავლელი არა, ჭკუჭკუ, ერთი ძალადმეჭმელი პარტია ათრიეს მაგან და მისნაირებმა, ათრიეს და ბოლოს მაინც შემოეშალათ!
რაღა დაგიმართლო, ამ ეტაპზე ისევე პრემიერ-მინისტრმა დამაშვიდა, აღფრთოვებული სიტუაციიდან გამოვიყვანა, მისი თქმით, ყოველგვარი საუბარი და სპეკულაციები სანქციებთან დაკავშირებით, პრორუსულ ნარატივს

მაგრამ რუსების დედაც მოვტ... ანო. ახლა თქვენ გვერათ, რომ ასეთები გულწრფელები არიან? გვერათ, რომ გულითა და სულით აგინებენ თავიანთ ბებიებს, ბაბუებს, თავიანთ თავ-ტრაკებს? თუ მართლა აგინებენ, მაშინ ეგეთებს გააკრა კახურმა ვირმა გარდიგარდმო! ეგეთები ხომ არც კაცებად ივარგებენ და არც ქალებად? რუსი დიმიტრი შაშკინი რომ დამინიშნეს თავის დროზე თავდაცვის მინისტრად, შემდეგ ციხეების „უმფროსად“, ბოლოს განათლების მინისტრად (სიმართლე გითხრათ, თანმიმდევრობა აღარ მახსოვს) და ახლა ეს რუსი დიმიტრი შაშკინი რუსეთს აგინებს, რანაირად უნდა დავიჯერო? არაა... ვერაა... მე ვერ დავიჯერებ, რადგან საქმე გვაქვს ავენტურასთან. სასაცილოა, საქართველოში რუსი ჩამჩინებს, რომ მე ვარ პრორუსი და თვითონ არის პროამერიკელი თუ პროდასავლელი. ერთი რუსცოლიანი ნო-



ლინი და წამოსვა პარლამენტში? ვინ გააგზავნეს გერმანიაში, ვის უმკურნალეს, ვინ გააცოცხლეს, ვის დაუფარეს ვალები?
ვისა და... რესპუბლიკელ დავით ზურაბიშვილს!
ნახეთ, ახლა რას კადრულობს ეს კრუტინი (სტილი დაცულია):
„როგორც ბრძენი ქართველი ერი ამბობს, აზრზე მოდით, ხიდზე გადით! გაუშვით ეს ბედოვლათი ღარიბა სახლში... თქვენ ეს ლიბერალური დასავლეთი მართლა

მექნება, ამას პოლიტიკა და ჩვენი ქვეყანა საერთოდ არ აინტერესებს, იმ რაღაცნაირ აზრებსაც ვიღაცა უწერს. აგერ, გამოკუსკუსდა ამ დღეებში და იმხის, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა ნათელი უნდა მოჰფინონ თავიანთ განცხადებასო.
ვერ გავიგე, რას გულისხმობთო. რაღა ნათელი უნდა მოჰფინონ? შე კაი ქალო, რურუას რომ პოლიტპატიმრად გამოიციხადებ, უფულავას პოლიტიკოსად და კაკოიე ბობოხიძეს ყურს დაუგდებ, დამახინჯებული წარმოდგენა გაქვს ამ ქვეყანაზე, აბა, რა ჯანდაბაა?!

ისევე ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება მაშვიდებს: „გაძლევე პირობას ყველას, რომ ეს გაუგებრობა ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან აუცილებლად აღმოფხვრება და ყველა კითხვას გაცემთ პასუხს“.

ესენი, ეს ნაცები, არიან პოლიტიკოსები? ესენი იყვნენ ხელისუფლებაში და ესენი ცდილობენ ისევე მობრუნებას? არ არსებობს, ამათ თავდებში გრიგოლიები, სანაიები, მიშველაძეები, ნანუკები, პანუკები, ნინუკები და მათნაირი ტარანტულები კი არა, მსოფლიო დონის ვარსკვლავები რომ დაუდგნენ, მაინც არაფერი გამოვა. ახლა ე.წ. მედიას ამოეფარანენ, ვითომ ვერაზინ ხედავს, როგორ დაძვრებიან „მიშაკები“ (ბოცო წიკლაური, ბოკერია და ეგეთები) ე.წ. მასშტაბურ აქციებზე და როგორ იძლევიან მითითებებს. ვინაიდან ამათ მან ბევრი დებილი ჰყავთ, რომელიღაცას (შოთა დიდშელაშვილს) წამოსცდა, ჩვენ ახლა უნდა მოვაწყოთ მაიდანის მინიმალური მსხვერპლითო. გაიგონეთ? მინიმალური მსხვერპლითო, ქალბატონო დეგნან.

იცით, ამათ რა უნდათ? მთავრობას აგინონ, ეკლესიას აგინონ, პატრიარქსა და სამღვდლოებს აგინონ, პოლიცია შეურაცხვონ, მოსამართლეები გაიგდონ, ჯარი დაამცირონ, ექიმები მიანჩორონ, პედაგოგებს აფურთხონ, კულტურის წარმომადგენლები ჩარეცხონ და მერე უკვიროთ, მხარდაჭერა რატომ არ გვაქვსო? აბა, იციან ამდენი ამ დროებით ჩამოსულმა ელჩებმა? არ ვიცი და არც მაინტერესებს, რა იციან, ამ ქვეყანას აქვს თავისი წარსული, დღევანდლობა და მომავალი, ვინც ამ სამი ღირებულების განადგურებას შეეცდება, თავადვე ჩაიხრჩობა ჭკობში!

გელა ზემელაშვილი
555 48 48 61



ემსახურება, ეს არის პირდაპირ პრორუსული პოლიტიკის ინტერესების გამტარებელი. მეც მაგას არ ვამბობ? ესენი არიან რუსეთის პირწავარდნილი აგენტები, ამათ აქვთ რუსეთში ბიზნესები, სახლები, კავშირები, ურთიერთობები და ასე შემდეგ. იქით რომ დაფარონ თავიანთი არაერთი დანაშაული, იქით რომ შერჩეთ დალატი, აქვთ გემახიან პრორუს... მე, მე და ჩემნაირებს გვემახიან პუტინის მონებს, რომლებსაც საერთოდ არაფერი გვაკავშირებს დამპყრობელ ქვეყანასთან. მეტიც, ამათ, ზოგიერთს ცოლი ჰყავს რუსი, ზოგი თავად არის რუსული წარმომავლობის ბებიით, ბაბუით და ასე შემდეგ. ამას წინებზე ერთი იმახდა, ბებიჩემი რუსი იყო,

დარ ნათაძის მიკვირდა ხოლმე, ერთთავად ამ ერს რომ ლანდლადა (მგონი ახლაც ლანდლადას). შე კაი კაცო, გამაგებინე, ამიხსენი, მთელი დღე რომ საკუთარ ცოლს აგინებ, ღამე იმასთან რანაირადლაწვები, არ გრცხვენია?
თუმცა, მეც ვარ რა, სირცხვილ-ნამუსზე ვის ველაპარაკები, ამათ? ერთხელ ირაკლი კაკაბაძემ განაცხადა, ადამიანი არ უნდა იფოს სირი, მაგრამ ჩვენში მაინც არის ბევრი სირი. მე კი ამჯერად კონკრეტულ უნამუსო ადამიანზე მოგახსენებ... აბა, გამოიცანით, ვინ არის? ვინ გამოსტაცა სიკვდილს ბიძინა ივანიშვილმა? ვინ ამოქექა „ქართულმა ოცნებამ“ სარკოფაგიდან? ვინ გააღალღალა წყალში, ვის გააცალა ნაფტა-

სირისტიანების კამანდა ხომ არ გგონიათ? იმენა დედას მოგიტყვნავენ! სანქციებს ვინ ჩივის და დაპატიმრების ორდერი შეიძლება გამოწერონ გვარს არ დავასახელებ და ზოგიერთებზე და მეფედუნაროდნი სუდით გასროკონ“.
შეიძლება ვიღაცა „გასროკონ“ კიდევაცო, ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს გულისხმობს. კაცია ახლა ესა? ღირდა კი ამ მძორის გულისთვის თავის შეწუხება?
ამ კრუტინს ქართველი ხალხი მართლა სირისტიანების „კამანდა“ ხომ არ ჰგონია? „იმენა“ დედას მოუტ...ნავენ!

ბოდიშს ვიხდით მკითხველებს ასეთი ბილწისიტყვაობისთვის, მაგრამ სხვა გზა არ არის, ადამიანი, რომელიც ერთ დროს განათლების მინისტრის მოადგილეც კი იყო, თვითონ ასე ბილწისიტყვაობს.
იცით, მე გული რაზე მწყდება? ამათ, ამ დეგნანებსა და მისნაირებს, რომლებსაც თავიანთივე უსტარ-წესების თანახმად ჩვენს საშინაო საქმეებში არც არაფერი ესაქმებათ, მაგრამ კაი, ამას დავანებოთ თავი... ავეგეთ სირებს რომ უსმენენ, გამოდიან და უცნაურ განცხადებებს აკეთებენ. მკვლელ შორიკა რურუას რომ პოლიტპატიმრად მიცხადებ, არ იცი, რომ ეს უკვე რუსეთის წისქვილზე წყლის დასხმაა? დავიჯერო, მართლა არ იცი, ქალბატონო დეგნან?
ხშირად ისეთი შთაბეჭდილება



როგორ მოვიპოვოთ ლინკოლნი არჩევნები ერთი ქასრი ღვინით?

საარჩევნო ტექნოლოგიები უძველესი დროიდან ღვინით

შავი პიარი, „კარუსელები“ და „ბადები“, არეულობები საარჩევნო უბნებზე და საარჩევნო კომისიების ოქმების შეცვლა — დღეისთვის არადემოკრატიულ ქვეყნებში ჩვეულებრივი მოვლენებია. მაგრამ მრავალწლიანი საარჩევნო ტექნოლოგიები, მათ შორის, არაკეთილსინდისიერების, შორეულ წარსულში იღვბს სათავეს.

რომის სენატი

ძველ რომში არჩევით თანამდებობებზე პრეტენდენტები თვითრეკლამას დიდ ყურადღებას უთმობდნენ. კანდიდატი სიმპატიკოსებს ქირობდა, რომლებიც მასთან ერთად დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში და აქებდნენ. მონა, რომე-

ლების რაოდენობის მომატება.

1927 წელს ლიბერიის პრეზიდენტმა ჩარლზ კინგმა ისე გააყალბა არჩევნები, რომ თითქოს ქვეყანაში ხმის უფლების მქონე 15 ათასი მაცხოვრებელიდან მის სასარგებლოდ ხმა 234-მა ათასმა მისცა. „ქატივობამ“ 1560% შეადგინა.


ჩარლზ კინგი გინესის რეკორდების წიგნში შეყვანილია, როგორც არჩევნების ფალსიფიციების გენიოსი.

ყალბი ამომრჩევლები და „სისხლიანი ქანასი“

1854 წლის კანზასის არჩევნების გამო შტატის ტერიტორიაზე სამოქალაქო ომი დაიწყო.

აბრაამ ლინკოლნი გამარჯვებას იმის წყალობით მიაღწია, რასაც დღეს ამომრჩევლის მოსყიდვას უწოდებდნენ. ამასთან, შეინარჩუნა მთელი ფული, რაც მის საარჩევნო ფონდში მოგროვდა.

საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ლინკოლნი სულ 400 დოლარი ჰქონდა. 1,5 დოლარად კანდიდატმა შეიძინა ერთი ქასრი ღვინო, რათა ამომრჩევლებს გამასპინძლებოდა. იმ დროში ამომრჩევლების დათობა სიხელე არ იყო. ასე იქცეოდა ბევრი კანდიდატი. თუმცა ლინკოლნი ამაში ორიგინალობის ელემენტი შეიტანა — ის მხოლოდ მათ ასმევდა, ვინც გადაწყვეტილების მიღებისას ორჭოფობდა. თავის მომხრეებს კი



ან ერთი ბოთლი არყის სანაცვლოდ რამდენჯერმე აძლევდნენ ხმას.

ფლორიდა. ბაიბარჯვა იმან, ვინც ნააბო

2000 წელს ოვალურ კაბინეტში ადგილისთვის დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. ფლორიდის შტატში რესპუბლიკელ ჯორჯ ბუშ-უმცროსსა და დემოკრატ ალბერტ გორს შორის ხმების სხვაობა მხოლოდ 1000 იყო ბუშის სასარგებლოდ.

დემოკრატები ხმების გადათვლას ითხოვდნენ და ეს პროცესი დაიწყო. ქვეყნის მასშტაბით გორს 500 ათასი ამომრჩევლით მეტმა მისცა ხმა.

ამგვარი სიტუაციები, როცა ხმათა უმრავლესობით ერთი იმარჯვებს, პრეზიდენტი კი სხვა ხდება, შტატებში იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. 2016 წლის არჩევნებში ჰილარი კლინტონს 3 მილიონით მეტმა ამომრჩევლმა მისცა ხმა, პრეზიდენტი კი ტრამპი გახდა, რომელსაც ამომრჩევთა მეტმა რაოდენობამ მისცა ხმა.

2020 წლის ჯო ბაიდენისა და დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო მარათონშიც გამარჯვება ბაიდენმა ამომრჩევთა დახმარებით მოიპოვა.

ავტომატი — ფალსიფიკატორი

აშშ-ის ზოგიერთ შტატში ხმის მიცემა ავტომატის საშუალებით არის შესაძლებელი.

2012 წელს, როცა პრეზიდენტობისთვის დემოკრატი ობამა და რესპუბლიკელი რომნი იბრძოდნენ, პენსილვანიის შტატში ავტომატი სიყვალბეში ამხილეს. ინტერნეტში მოხვდა ვიდეორგოლი, რომელშიც კარგად ჩანს, რომ ამომრჩეველი თითქმის აჭერს ობამას გვართან მითითებულ დილაკს, შესამოწმებელ ფანჯარაში კი მისი კონკურენტის — მიტ რომნის გვარი ჩნდება. რესპუბლიკელები კი ჰყვებოდნენ ავტომატებზე, რომლებიც რომნისთვის მიცემულ ხმებს ობამას მიაწვდნენ.

ყველაზე მშვიდი და შესანიშნავი არჩევნები

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც საპრეზიდენტო არჩევნები ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება.

1998 წელს სამუდამო პრეზიდენტად გამოაცხადეს კიმ ირ სენი, რომელიც ოთხი წლით ადრე გარდაიცვალა.

კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკის არჩევნები შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ყველაზე უკონფლიქტო. არ გამოიყენება არც ბინძური ტექნოლოგიები, არც ამომრჩეველთა მოსყიდვა. ამომრჩეველთა აქტივობა ყოველთვის თითქმის 100%-იანია.

გელა გველესიანი
568 90 81 22



ლიც ამა თუ იმ ქუჩის მაცხოვრებლებს კარგად იცნობდა, პატრონს მათ სახელებს კარნახობდა. როცა კანდიდატი გამვლელს სახელით მიმართავდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ის რომის ყველა მოქალაქეს იცნობდა.

ძველი რომაელები, მიუხედავად კეთილშობილებისა, უარს არ ამბობდნენ შავი პიარის გამოყენებაზე. „ორატორების მეფისადმი“ მარკუს ტულიუს ცეზარისადმი მიწერილ წერილში მისი ძმა რეკომდენდაციებს აძლევდა, როგორ ჩაეტარებინა წინასაარჩევნო კამპანია: „წინასაარჩევნო კამპანია ღირსეული, საზეიმო, დიდებული უნდა იყოს. იზრუნე იმაზეც, რომ შენი მოწინააღმდეგეების ზნეობის შესახებ გავრცელდეს დამამცირებელი ჭორები, თითქოს ისინი დამნაშავეები, გარყვნილები და მფლანგველები არიან“.

შეგახსენებთ, რომ იმ დროისთვის ამერიკა იყოფოდა მონათმფლობელურ — და აბოლიციონურ შტატებად, სადაც მონობა აკრძალული იყო.

კანზასში მონათმფლობელების გავლენის შესანარჩუნებლად აქ მეზობელი მისურის შტატიდან რამდენიმე ასეული მოქალაქე გადავიდა. მათ ყალბ ამომრჩევლებს უწოდებდნენ. მონობის მოწინააღმდეგეებმა არჩევნების შედეგები გაყალბებულად ცნეს და შტატში თავიანთი მთავრობა შექმნეს. პოლიტიკური დაპირისპირება ძალიან მალე შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომელიც ამერიკის ისტორიაში „სისხლიანი კანზასის“ სახელით შევიდა. ადგილობრივი ომი 1860-იანი წლების ამერიკის სამოქალაქო ომის წინაპირობად იქცა.

ეპროფიური ლინკოლნი და ერთი ქასრი ღვინო

1840-იან წლებში მომაკვალმა ლეგენდარულმა პრეზიდენტმა

უკან დაუბრუნა მათ მიერ შეგროვილი ფული.

„კარუსელის“ გამოგონებლები

„კარუსელები“ არჩევნების დროს ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში იყო ცნობილი.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დუმაში პირველი არჩევნების დროს, 1906 წელს, გამოყენებული იყო ამომრჩევლების დაქირავების ტექნოლოგია, რომლებიც ფულის



„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭარი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. № GE19BG000000182763600.

საერთო გაზეთი

შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: **ვახტანგ ხარჩილავა**

სარედაქციო კოლეჯია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შევლიძე მარიამ ჯანჯღაძე, გაბა ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კველიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშაძის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.

http://www.saertogazeti.ge E-mail: saertogazeti@yahoo.com

რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთის გამოცემა შეზღუდულია შპს

„ელგა-ჯი“-ს მშვიდობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციის არ დაინახებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეა პასუხისმგებელი ავტორი. გასაქმობა შესაძლებელია გასაქმობის შემთხვევაში. შპს-ის მფლობელი არ არის პასუხისმგებელი გაზეთის მართვაში.

© ამ ნომერი აღწერილია საერთაშორისო მასშტაბით.
იმაქვება შპს „საგამომცემლო ცენტრი“ სტამბაში. აგლავის 39. ტელ: 234-39-99